

## განაციონ ჯორგენაძე

### სახმარი მოდალური ელემენტები ქართულში

ქართულში გამოიყოფა რამდენიმე მოდალური ელემენტი, რომლებიც ზმეური წარმომავლობისა არიან: ეგებ/ეგება, იქნებ/იქნება, მატყობა, ჩანს, ლამის, უნდა, ვინდა/ვინდ, ოუგანდ/თუნდა... ზოგი მათგანი (ეგებ/ეგება, ლამის...) მხოლოდ მოდალური ელემენტის სტატუსით დაჩინდება თანამედროვე ქართულში, სხვანი გამოიყენებიან როგორც მოდალური დანიშნულებით, ასევე საკუთრივ ზმის ფუნქციით.

\* \* \*

ეგება/ეგებ ფორმა ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო როგორც ვების; ესაა ე-პრეფიქსიანი ვნების ყალიბის მქონე ზმია, რომლის ფუნქცია (ძირია) -გა: ე-გ-ებ-ი-ს. მასდარია გება. ძველ ქართულში იგი საქმიან ხშირად გამოიყენებოდა მნიშვნელობით „შეძლება, ფრე ყოფა“<sup>1</sup>. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულშიც პარალელურ ტექსტებში ამ ზმის მნიშვნელობით გამოიყენებოდა „შესძლებელ არს“ და „შერ არს“ აღწერითი ფორმები:

მიუგო ნიკოლემოს და პრექტ მას: კითორ ეგების ეგე ყოფად? || მიუგო ნიკოლემოს და პრექტ: კითორ შე სა ძლებ გე ლ არს ეს ეს ყოფად? (ი. პ. 9).

პრექტ მას ნათანაელ: და ნაზარეთით ეგების შე რა კეთილი რამდე ყოფად? || პრექტ მას ნათანაელ: ნაზარეთით შე სა ძლებ გე ლ არს ა კეთილისა რასამდე ყოფად (ი. 1,46).

არა ეგების კაცისა ჰურიასა; || არა ფერ არს კაცისა ჰურიასა (საჭ. მოც. 10,28).

ამ მნიშვნელობით თანამედროვე ქართულს ეგების ზმია შემორჩა მხოლოდ გამოიქმიშა არ ეგების, რომლის ვარიანტია არ ეგება (უარ შეიძლება, შეუძლებელია, არ იქნება“)<sup>2</sup>. ქართული ენის განჩარტებითი ლექსიკონის რვატომეულში მაგალითებად დასახელებულია: „მეწყინა,

<sup>1</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

<sup>2</sup> ეგების-ეგება ფორმობივი ცვლილება საერთო მოვლენა ენებითი გარის ზენებისათვის: ტუ-ებ-ი-ს-თ-ებ-ა, ე-მალ-ებ-ი-ს-ე-მალ-ებ-ა და მისთ.

მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა“ (ილია), „სანოვაგის გატაცება არ ეგებოდა“ (კ. ბარნ.).

თანამდეროვე ქართულში კ. ფორმა მხოლოდ მოდალური ელემენტების (ნაშილები, მორფემოიდის) დანიშნულებით გამოიყენება (გამონაკლისია ზემოთ დასახელებული გამოთქმა). მისი მნიშვნელობაა: „იქნება შეიძლება; ვინ იცის, ვანჭლოვა“ (ანუ: გამოიხატება შესაძლებლობა ან დაეჭვება). ასეთი სემანტიკური ცელილება მოულოდნელი არ არის: „შესაძლებელ არს, შეიძლება“ → „შესაძლოა, იქნებ, ვინ იცის“.

მოდალურ ელემენტად გამოყენებისას პარალელურ ფორმებად გვხვდება: ეგების//ეგება და ეგები//ეგებ; ზოგ დიალექტში (მესხურში) დადასტურებულია აგრეთვე ეგა.

მევვარი ფორმობრივი ცელილებაც დღვილად აისწება: ზმრური მნიშვნელობის დაჩრდილვის შემდგომ ხდება ფორმის ფონეტიკური ცვეთა, რით „გარეგნულადაც“ ნაწილი ეგების რანგში გადაის: ე-გ-ებ-ი-ს→ეგები//ეგებ, ე-გ-ებ-ა→ეგებ, აგრეთვე: ე-გ-ებ-ა→\*ე-გ-ე-ა (ბ-ს ჩა-ვარდნით)→ეგა (ეა→ია ფონეტიკური ცელილების საფუძველზე).

უფრო არსებითი ცელილება მოხდა სინტაქსური წყობის თვალსაზრისით: ე. წ. შესდარული კონსტრუქცია („ეგების ყოფად“ ტიპისა) შეიცვალა შესიტყვებით, რომელიც ეგების//ეგება შესამცბულია კავშირებითის პარადიგმის ფორმისათვის: „ეგებ ინებოს ბატონში“ (ცაჟი). შეხემბება ხდება სამივე კავშირებითის ფორმისათვის (ოლონდ თანმედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში III კავშირებითის ადგილს იქმარება II შედევობითი; გარდა ამისა, არ შეინიშნება ყოფადის კავშირებითი): ეგებ წერდეს, დაწეროს, დაწერა (=დაეწეროს). არსებითად აქ შესაძლებლობის კილოს ფუნქციაა გამოხატული. იმავდროულად ეგები//ეგებ იფართოებს გამოყენების არეს და ეხემბება სხვა პარადიგმის ფორმებსაც.

I სერია:	აწმყო:	
	ნამყო უსრული:	ეგებ
	კავშირებითი:	{ წერს წერდა წერდეს

არ დასტურდება მყოფადის წრის ფორმებთან.

II სერია:	აორისტი:	
	II კავშირებითი:	ეგებ

	დაწერა
	დაწეროს

III სერიაში გვხვდება II შედევობითისა და III კავშირებითის ფორმებთან: ეგებ დაწერა, დაწეროს (ამათგან, როგორც ითქვა, II შედევობითი გამოყენებულია III კავშირებითის ნაცვლად).

<sup>3</sup> ქრისტიან ენის განმარტებითი ღეჭსიკონი, III, ობილის, 1953.

ზემოსსენებულის საფუძველზე შეიძლება ითქვას: ქართულში გამოიკვეთა შესაძლებლობის კილის გამოხატვის ტენდენცია. გამოხატვა ხდება წაზმინდა მოდალური ელემენტის (ეგება||მგბ) საშუალებით, რომელიც ეხამება აწმყოს, ნამყო უსრულის (განკრძობითის), აწმყოს კავშირებითის, ორისტის (ნამყო ძირითადის), II კავშირებითის, II შეღეგობითის (III კავშირებითის ფუნქციათ გამოყენების შემთხვევაში) და III კავშირებითის (უპირატესად დიალექტებში) ფორმებს.

\* \* \*

ვეღ ქართულში ლაშის ასევე დამოუკიდებელი ზმნის განიშნულებით გამოიყენებოდა. მან ზმნის მასდარად იგირაუდება ლაში „ნდომა, წადილი; სურვილი, წაფი“. ი. აბულაძეს ნიმუშად დასახელებული აქვს: „ჰლამოდა შესლვამა ოვსეთად“<sup>4</sup>. ლაშის იმავე სტრუქტურის ზმნაა, რაც „სურ-ის/სურ-ი-ნ „სურს“ („ვითარცა სურ-ი-ნ ორემსა“, — ფს. 41,2; „სურ-ოდ-ა სულსა ჩემსა“, ფს. 118, 174), ს-წყურ-ი-ს („ს-წყურ-ი-ან‖ სურ-ი-ან სულსა ჩემსა შენდაძი“, ფს. 62,2 და მიხთ. ინუ ლამ-ი-ს, სადაც -ს მხოლობით რიცხვის 111 სუბიექტური პირის ნიშანია. — და — ზმნური სუფიქსი; ფუქეა ლაშ-, რომელიც იმედიდ, როგორც ზმნა, -ობ თემის ნიშნითა გაფორმებული: ლაშ-ო-ს („გაყეთებას ლამობს“). ლაშ-ი-ს ფორმია ზმნის ფუნქციათ XIX საუკუნეებდე იყო შემორჩენილი, უფრო მოგვიანებით იგი უპირატესად სტილიზაციის მიზნით ჩას გამოყენებული. შედრ:

მოკვლის ლაში და (საბა): ლაშ-ი-ს—ლაშ-ოდ-ა; უტანდარი გვახლა, დედოფალო, შენს ხილვას ლაშის (შ. დად).<sup>5</sup>

ამდენად, ქართული ენის განვითარების გვაძნდელ საფუძურზე ერთმანეთის პარალელურიდ დასტურდება ორი ფორმა:

აწმყო:	გ-ლაშ-ი	გ-ლაშ-ობ
	პ-ლაშ-ი	(პ)-ლაშ-ობ
	(პ)-ლაშ-ი-ს	(პ)-ლაშ-ობ-ს
ნამყო უსრული:	გ-ლაშ-ოდ-ი	გ-ლაშ-ობ-დ-ი
	პ-ლაშ-ოდ-ი	(პ)-ლაშ-ობ-დ-ი
	(პ)-ლაშ-ოდ-ა	(პ)-ლაშ-ობ-დ-ა
კავშირებითი:	გ-ლაშ-ოდ-ე	გ-ლაშ-ობ-დ-ე
	პ-ლაშ-ოდ-ე	(პ)-ლაშ-ობ-დ-ე
	(პ)-ლაშ-ოდ-ე-ს	(პ)-ლაშ-ობ-დ-ე-ს

<sup>4</sup> ი. აბულაშვილი, დასახ. ნაშრ.

<sup>5</sup> ნიმუშები დასხელებულია ჭევლ-იდან, ტ. IV.

ამათგან, პირველი სისტემიდან შემორჩი ლამის, როგორც მოდა-  
ლური ელემენტი (მნიშვნელობით: „თოქმის, კინაღამ“). ხოლო მეორე  
სისტემა დამკვიდრდა როგორც ლამ-ობ-ს ზენის ულვლილება.

მოდალური ელემენტი ლამის უპირატესად II კავშირებითის ფორ-  
მას ეხმადება: „შიშისებნ ლამის მე ჩემი დამემართოს“. ღირსაცაცნობია,  
რომ მას მოდალურ ელემენტია გამოყენების დროსაც უნარი აქვს  
ზმნისოვის დამახსიათებელი კონსტრუქცია შექმნას (თუმცა ზმნური  
სემანტიკისგან დაკლილია): „ლამის, რომ არ შეეწიოს“ (ცაჟა)⁹. ლამის  
ამ შემთხვევაში მთავრი წინადაღების დანიშნულებითია გამოყენებუ-  
ლია სინტაქსურად, თუმცა მორთოლოგიურად და სემანტიკურად მო-  
დალური ელემენტია (ნაწილუკა). ეს, თავის მხრივ, ხდება იმის მიზეზი,  
რომ ლამის ფორმისთვის ჩიდება არის ზენის: „ლამის არის, შიშისგან  
გული წაუგიდეს“. გასთვალისწინებელია ისიც, რომ თავად არის ფორ-  
მაც ქართულში ზოგჯერ გამოყენება მოდალური ელემენტის დანიშ-  
ნულებით: „ორიოდ-სამი პურიც არის წალეო“ (საბა); გამოიხატება  
მნიშვნელობის: „მაინც, კა“<sup>10</sup>. გვხვდება სეც: მაინც არის („სიკვდილით  
მაინც არის ესნა ამ მწუხარებისაგან“, — ა. ფურც.). რა ოქმა უნდა,  
ლამის-თან არის ფორმას ეს მნიშვნელობა არ აქვს, აյ იგი უფრო რე-  
ზეველი ზენის დანიშნულების ასრულებს: „ლამის არის || ლამისაა, გვ-  
ლი წაუგიდეს“ (შდრა: „ეს-ესაა, მოვიდა“).

ლამის იფართოებს ზმნურ ფორმისთვის გამოყენების სფეროს: II  
კავშირებითის გარდა, აგი შეიძლება შეეხამოს სხვა პირადიგმის ფორ-  
მებსაც: ლამის ტირის, ტიროდა, ტირია, ეტირი; ანუ: აწმყოს, ნამყო  
უსრულს (განგრძელებით), აორისტს (ნმყო მირითალს); II შედევობის  
(გამოყენებულს III კავშირებითის ფუნქციით).

\* \* \*

ი-ქნ-ებ-ა თანამედროვე ქართულში ორი დანიშნულებით გამოიყ-  
ნება: საკუთრივ ზენია და მოდალური ელემენტისა.

ი-ქნ-ებ-ა ზენი პოლისემიურია:

ა) გამოხატავს მყოფობას, უდილილებისას შეენიცელება არი-ს  
ზენის:

I სერია: აწმყო: არი-ს

მყოფადი: ი-ქნ-ება

პირობით-ხოლმეობითი: ი-ქნ-ებ-ოდ-ა

კავშირებითი: ი-ქნ-ებ-ოდ-ე-ს

<sup>9</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, 1, თბ., 1973, გვ. 615.

<sup>10</sup> კ. კადანტალიანი, ქართული წებირი შეტყველების სინტაქსის საგითხები,  
ად., 1990, გვ. 98—100.

II სერია: ორისტი: ი-უ-ო

II კავშირებითი: ი-უ-ო-ს

III სერია: I შედევობითი: ყოფილ-ი

II შედევობითი: ყოფილ-იყო

III კავშირებითი: ყოფილ-იყოს.

შრრ.: „ის კაცი ახლა აქ არის“ — „ის კაცი ხეილ აქ იქნება“.

ბ) გამოიყენება შეღვენილი შემასმენლის ზმნურ წევრიდ: „პატარა თუ ას გაიზარდი, დიდი როგორ იქნებათ“ (ინდაზა).

აქაც ი-ქნ-ებ-ა შეენაცელება არის ზმნის, მაგრამ წინა შემთხვევასგან განსხვავებით (როცა II სერიაში მას მხოლოდ ი-უ-ო ზმნა შეენაცელებოდ), ამ დანიშნულებით (ი-უ-ო ზმნასთან ერთად) ი-ქნ-ებ-ა→ი-ქნ-ა II სერიაშიც დაჩინდება:

აწმყო: დიდი არის→დიდია

მყოფადი: დიდი იქნება

აორისტი: დიდი იყო/დიდი (შე)იქნა

არსებითად მეშველი ზმნის დანიშნულებით არის გამოიყენებული ი-ქნ-ებ-ა აღწერითი ვნებითის ფორმებშიც (ამ შემთხვევაში II სერიაში უპრატესად ამ ფუძისგან ნაწარმოები ფორმებია დამოწმებული; ი-უ-ო მშვიათია):

მოქმედებითი:

ვნებითი:

მყოფადი: გა-ი-ღ-ებ-ს (თანხას)

გალებულ ი-ქნ-ებ-ა (თანხა)

აორისტი: გა-ი-ღ-ო (თანხა)

გალებულ ი-ქნ-ა (თანხა).

ამ რიგისაა: აყვანილ, ატანილ... იქნება (იქნებოდა, იქნებოდეს; იქნა, იქნას...).

გ) დადასტურებულია შესაძლებლობის ფუნქციის გამოსახატავიდ: „ერთხელაც იქნება (=შესაძლოა), მელას მიზნორზე გაუთენდებოთ“, „თოფის სროლა არ იქნება“ (=არ შესაძლება).

შევნიშნავთ, რომ გამოიქამის არ იქნება ზმნა შესაძლოა არქაული ფორმითაც იყოს წარმოდგენილი: არ იქნების (შრრ.: არ ეგება და არ ეგების): „კაცალი უნაცუჭვიდ არ იქნების“ (ინდაზა).

დ) დაჩერება გამოიქმებში: რა||რაღა იქნება (იქნა), როგორც იქნება (იქნა), რაც იქნება, ვერ||არ იქნა (ან: ვერა და ვერ იქნა, არა და არ იქნა)...

უველა ამ შემთხვევაში ი-ქნ-ებ-ა (ი-ქნ-ა) ი-პრეფიქსითი ვნებითის ფორმაა. ამავე ფუძის მოქმედებითის ფორმა II და III სერიაშია და-

შოწმებული და სიც შეოლოდ ამ მნიშვნელობით: „გააკეთა, ჩაიღინა, მომოქმედა“ („მაღლი ქნი და მარილიც მოყარეო“, „მაშ დაქსხდეთ და სამართალი კვნათ“<sup>9</sup>).

ამ ზმის პრაცენტია ასეთია:

აჭმყო: შვრ-ებ-ა

მყოფადი: ი-ჩამ-ს

ორისტი: ქნ-ა

I შედეგობითი: უ-ქნ-ი-ა.

თავის მხრივ ქნ-ა და ი-ქნ-ა ფორმობრივ კი არის ერთმანეთის მი-  
გენილობის: \*ქამ-ენ-ა (შდრ.: ი-ქამ-ს||ი-ქ-ებ-ს)<sup>10</sup>; ძირია ქამ-ებ.

თავის მხრივ ქნ-ა და ი-ქნ-ა ფორმობრივ კი არის ერთმანეთის მი-  
მართ მოქმედებითი და ცნებითი, ზაგრამ სემინტიკურიდ მათ შორის  
მგვარი კავშირი დაჩრდილულია (შდრ.: ბ-უ-ო და ი-უ-ო).

ზოგადი მნიშვნელობა ი-ქნ-ებ-ა ზმისა არის: „იარსებებს“, აქე-  
დან განვითარებულია სისურველობის სემინტიკა „ვინძლო იყოს||  
იარსებოს“, რაც საფუძვლად დადო კიდევ ამ ფორმის გამოყენებას  
მოდალური ელემენტის დანიშნულებით: „მგვილი ცხვარს სამი წელი-  
წალი დასდევდა — იქნება დუმა ჩამოლუარდესო“ (ანდაზა)<sup>11</sup>.

ი-ქნ-ებ-ა ზმის მოდალურ ელემენტად გამოყენებამ განაპირობა  
მისი ფონეტიკური ცვეთა: ი-ქნ-ებ-ა→იქნებ, ი-ქნ-ებ-ა→\*ი-ქნ-ე-ა (ზ-ს  
ჩავარდნით)→იქნია (ე-→ია ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე);  
ბოლო ფორმა დადასტურებულია მესხურში (შდრ.: ეგია).

როგორც ითქვა, ი-ქნ-ებ-ა ფორმის მოდალურ ელემენტად გამო-  
ყენებას საფუძვლად დადო სასურველობის (სურვილობის) სემინტიკა,  
ზემდგომ იგი იუართოებს სემინტიკურ სფეროს და ამეამად გამოხა-  
ტავს ვარაუდის მნიშვნელობასაც. შესაბამისად გაფართოვდა მისი  
ფორმობრივი შეხამების სფეროც: I კეშირებითის ფორმებს გარდა  
(იქნება||იქნებ დაწეროს, გააკეთოს, მოვიდეს, გათხე...), იგი შესაძ-  
ლო გამოყენებულ იქნეს სხვა პარადიგმის ფორმებთანც: იქნება||  
იქნებ წერს, წერდა, წერდეს; დწერა, დაწერა, დაწეროს; იქნება||  
იქნებ იცის, იცოდა, იცოდეს (ახე: აწმყოს, ნაცყო უსრულის, აწმყოს  
კავშირებითის, ორისტის, II შედეგობითის, III კავშირებითის ფორ-  
მებთან, II შედეგობითან — III კავშირებითის ნაცვლად).

იქნება, როგორც დამოუკიდებელი ან მეშველი ზმის, და იქნება,  
როგორც მოდალური ელემენტის, გამოყენების სფეროები ენაში მკვე-

<sup>9</sup> იბ.: ქებლ. ტ. VII, 1962.

<sup>10</sup> ვ. თოფურია, ქორველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, იბ. მიხა: შრომები, III, თბ., 1979, გვ. 83—84.

<sup>11</sup> ქებლ. ტ. IV.

თრად განიჯნულია: სახელთან (ან პირველად მასდართან, მიმღეობასთან) ივი მხოლოდ ზმის ფუნქციით გვხვდება (იქნება კაცი, ჰერი, გავეთებული), ხოლო ზმისთან — მხოლოდ მოდალური ელემენტის დანიშნულებით (იქნება //იქნება წერს, წერდა, დაწერა...)

\* \* \*

უნდა ზმის ამოსავალი ფუტე (ძირი) ნ არის, იგივე, რაც უძველეს უ-ნ-ებ-ს/უ-ნ-ებ-ნ ზმაში („უნებნ მათ“, — მ. 27, 15). უ-ნდ-ა ისტორიულად ნამყო უსრულის ფორმაა<sup>12</sup>, აშშყოა უ-ნ-ა (რომელიც ზოგ დიალექტსა თუ კილოვას — შესხურს, ქიზიურს — დღემდე დაუცავს). შემდგომ უნდა აშშყოს ფორმად იქნა გააზრებული და, ამას კვალობაზე, ახალი პარადიგმული ჩიგი აიგო. შდრ.:

აშშყო:	უ-ნ-ა	უ-ნდ-ა
ნამყოუსრული:	უ-ნ-დ-ა	უ-ნდ-ოდ-ა
კავშირებიათ:	უ-ნ-დ-ე-ს	უ-ნდ-ოდ-ე-ს.

უ-ნ-ებ-ს/უ-ნ-ებ-ნ ფორმაში .ებ თემის ნიშანია, რომელიც შემდგომ ფუტეს შეუხეორცდა და სხვა (-ავ) თემის ნიშანი დაირთო: ჰ-ნებ-ავ-ს/ჰ-ნებ-ავ-ნ. ეს ცვლილებიც საქმაოდ იდრეულ პერიოდში მოხდა — უკვი თხხთავის პარალელურ ტექსტებში შეინიშნება მათი შენაცვლა-ბის შემთხვევები: „ხოლო დღესასწაულთა ჩუეულ იყო მთავარი იგი, მიიტევის ერსა მსა პყრობილი ერთი, რომელიცა უ-ნ-ებ-ნ მათ“; პარალელურ ვარიანტშია: „რომელიცა ჰ-ნებ-ავ-ნ“ (მ. 27, 15). უნებს ხმივანი პრეფიქსის გარეშეც გახვდება ძველ ქართულ ტექსტებში: ჰ-ნ-ებ-ს.

ეს ზმები სურვილის, ნდომის სემანტიკის გამოხატვისწერ. გვიქვს მათი ურთიერთჩანაცვლების, აგრეთვე ამავე სემანტიკის სხვა ზმებთან შენაცვლების შემთხვევები:

რაოდნენ გზის მ ი ნ დ ა შექრება ნაშობთა შენთა; შდრ.: რაოდნენ გზის გ ი ნ ე გ ე შეკრება შეკლთა შენთა (მ. 23, 37).

გ-ი-ნებ-ე ორისტია, მ-ი-ნ-დ-ა — ნამყო უსრული (= „მინდობა“); ორსავე შემთხვევაში სურვილის მნიშვნელობაა გამოხატული.

ხოლო პერიდე ვითრეცა ითილი იესუ, ვანიარა ფრიად, რაშეთუ უ ნ დ ა (= „უნდობა“) მია ხილვად მრავლით უამითვან ამისთვეს; შდრ.: რაშეთუ ს წა-დ თ დ ა მრავლით უამითვან ხილვად მისა (ლ. 23, 8).

უნდა ძველ ქართულ შივე გამოიყენება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობით:

<sup>12</sup> ა. შ ი ნ ი ქ, დასახ. ნაშრ. გვ. 224—225.

- ა) (გ-)უ-ნდ-ი, უ-ნდ-ი („უნდი მე“<sup>13</sup>); იგივეა, რაც ახალი ქართული: ვ-უ-ნდ-ი-ვარ, უ-ნდ-ი-ხარ;
- ბ) გ-ი-ნდ-ა, გ-ი-ნდ-ა, უ-ნდ-ა.
- თანამედროვე ქართულში უნდა ზმნა ორი მნიშვნელობით იხმარება:
- ა) „სურს, სწადია“: „ჩრმას რა უნდა და — ორივ თვალით“ (ა-დაზა);
- ბ) „ესაჭიროება, საჭიროა მისთვის“: „კარგ მოქმედს ქარგი გამგონე უნდათ“ (ანდაზა)<sup>14</sup>.

მაგრამ ამ თუნდაც მცირედმა სემანტიკურმა სხვაობამ ისინი უღვლებითაც განსახვავა: როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობის უღვლილება ამ ზმნას მხოლოდ პირველი მნიშვნელობის გამოხატვისას აქვს:

აშშო: { ვუნდოვარ, უნდიხარ, [უნდა]  
          { მინდა, გინდა, უნდა

ნამდო უსრული: { ვუნდოდი, უნდოდი, [უნდოდა]  
          { მინდოდა, გინდოდა, უნდოდა

აშშოს კავშირებითი: { ვუნდოდე, უნდოდე, [უნდოდეს]  
          { მინდოდეს, გინდოდეს, უნდოდეს

მყოფადი: { ვენდომები, ენდომები, [ენდომება]  
          { მენდომება, გენდომება, ენდომება...

I შედეგობითი: { ე(ნ)დომებივარ, ს(ნ)დომებიხარ, [ს(ნ)დომებია]  
          { მ(ნ)დომებია, გ(ნ)დომებია, ს(ნ)დომებია...

ზმნა ინვერსიულია, ახასიათებს დეფექტური უღვლილება (საერთოდ არა აქვს II სერია; აშშოს წრის გარდა, სხვა პარადიგმებში რეენტებს შენაცვლებულ ფუძეს: ე-პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბს).

მეორე მნიშვნელობის გამოხატვისას უნდა ზმნას მხოლოდ ობიექტური წყობა აქვს და, თანაც, ოდენ აშშოს წრის პარადიგმები მოებოვება („კარგი გამგონე მინდა“ = „კარგი გამგონე მჭირდება“, „კარგი გამგონე მინდოდა“ = „კარგი გამგონე მჭირდებოდა“, „კარგი გამგონე მინდოდეს, გიპოვნილია“ = „კარგი გამგონე მჭირდებოდეს, ვიპოვნილია“).

სწორედ ამ მეორე მნიშვნელობისაგან განვითარდა ის სემანტიკურომელსაც მოდალური ელემენტი უნდა გამოხატავს: „საჭირო, აუცილებელია“.

მნიშვნელობათა ამგვარი გადასვლა მოულოდნელი არ არის: „სურს, სურვილი აქვს“ → „სჭირდება, ესაჭიროება“ → „საჭიროა, აუცილებელია“.

<sup>13</sup> ი. აშშ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 326 (იხ.: ნდომი).

<sup>14</sup> ქამლ, ტ. VI, 1960.

მოდალური ელემენტის სტაციონარ აღჭურვილი უნდა თავისი ფორმაბრივი ქმედებით (მოქცევით) პრინციპულუდ განსხვავდება უნდა ზმნისაგან: „უნდა“ მოდალური ელემენტი ეხმება მხოლოდ კავშირებითის ფორმებს (გარდა მყოფადს კავშირებითისა) და ას იულლება.

მართალია, სურვილის გამომსატეველი უნდა ზმნაც კავშირებითის ფორმებთან იხმარება, მაგრამ სხვაობაც ასევარაა:

- ა) იცვლება პირის, რაცენას და დრო-კილოს მიხედვით:  
თხრობითი კილო:

აწმყო:  
 I    { მინდა გაყეთებდე, გაფართო  
       { გვინდა გვყეთებდეთ, გავაკეთოთ  
 II    { გინდა იყეთებდე, გააყეოთ  
       { გინდათ აკეთებდეთ, გადაკეთოთ  
 III    { უნდა იყეთებდეს, გადაკეთოს  
       { უნდათ იყეთებდენ, გადაკეთონ

ნამყო:  
 I    { მინდოდა გამეკეთებინა (= გამეკეთებინოს)  
       { გვინდოდა გაგვეკეთებინა (გაგვეკეთებინოს)  
 II    { გარდოდა გაგმეთებინა (გაგმეთებინოს)  
       { გინდოდათ გაგვეკეთებინათ (გაგვეკეთებინოთ)  
 III    { უნდოდა გაეკეთებინა (გაეკეთებინოს)  
       { უნდოდათ გაეკეთებინათ (გაეკეთებინოთ)

კავშირებითი კილო:

აწმყო: მინდოდეს გაეთებდე, გავაკეთო  
 გინდოდეს იყეთებდე, გადაკეთო  
 უნდოდეს იყეთებდეს, გააკეთოს...

ნამყო: მ(ნ)დომებოდა (|| მ(ნ)დომებოდეს) გამეკეთებინა  
 (გამეკეთებინოს)  
 გ(ნ)დომებოდა (|| გ(ნ)დომებოდეს) გაგვეთებინა  
 (გაგვეთებინოს)  
 ს(ნ)დომებოდა (|| ს(ნ)დომებოდეს) გაეკეთებინა  
 (გაეკეთებინოს)...

ანუ: თხრობითი კილოს გამოხატვისას აწმყოში ერთმანეთს ეხამება უნდა ზმნა აწმყოს ფორმით და აწმყოს ან II კავშირებითი; ნამყოში: უნდა ზმნა ნამყო უსრულის ფორმით და II შედეგობითი (|| III კავშირებითი). კავშირებითი კილოს გამოხატვის შემთხვევაში კი აწმყოში შეხამებულია უნდა ზმნა აწმყოს კავშირებითის ფორმით და აწ-

შეისახოს ან II კავშირებითი, ნამყოში — უნდა ზენდა II შედეგობითის ან III კავშირებითის ფორმით და II შედეგობითი (II III კავშირებითი).

**შენიშვნა:** 1. II კავშირებითის და II შედეგობითის

(III კავშირებითის) ფორმები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ზმნისწანით, ასევე უზმნისწინოდ: მინდა ვაკეთო || გავაკეთო, მინდოდა მცეთებინა || გამცეთებინა...; 2. თხრობითი კილოს ნამყოში მოსალოდნელი იყო უნდა ზენდა II შედეგობითის ფორმითაც ყოფილიყო წარმოდგენილი (მნიდომებოდა, გნდომებოდა...), მაგრამ იმის გამო, რომ II კავშირებითი, ჩეულებრივ, III კავშირებითის ფუნქციით გამოიყენება, ეს ფორმა კავშირებითის კილოს გამოხატვისას დაჩნდება, ხოლო ა. თხრობითი კილოს ნამყოში უნდა მხოლოდ ნამყო უსრულის ფორმითაა დამოწმებული; 3. პირთა შეხამება შესაძლოა ნაირგვარი იყოს:

მინდა { ვაკეთებდე, ჟეთებდე, ფეთებდეს  
                { გავაკეთო, გავეთო, გააკეთოს...

განდა { ვაკეთებდე, ჟეთებდე, ფეთებდდეს  
                { გავაკეთო, გავეთო, გააკეთოს და მისთ.

4. II კავშირებითის ფორმებთან თავისებური სემანტიკური გითარება იქმნება: მინდა/გინდა/უნდა (= „სურვილი“) აწმუნა, ხოლო საულენებელი ზენდა (გავაკეთო/გააკეთო/გაკეთოს) მყოფდეს გამოხატავს.

ბ) საქმე გვაქვს როგორი ქვეწყობილი წინაღადების ერთ-ერთ ნაირსახეობასთან: მინდა ვაკეთებდე ან მინდა გავაკეთო არსებითად იგივეა, რაც: მინდა რომ ვაკეთებდე, ან: მინდა, რომ გავაკეთო... ამიტომაც მინდა ვაკეთებდე ან მინდა გავაკეთო ტიპის კონსტრუქციები დაწერილობისას ზოგჯერ ასეც არის წარმოდგენილი: მინდა, ვაკეთებდე ან მინდა, გავაკეთო (ე. ი. ისე, როგორც უკავშირო როგორი ქვეწყობილი წინაღადება).

განდა ამისა, სასურველობის გამომხატველი უნდა ზენდა შესაძლოა შეხამებული იყოს მასდაროთან: მინდა (გინდა, უნდა) იმ საქმის გაკეთება (ან: თაშაში, ვარგიში, ხიშლერა...), ავრეთევე არსებით სახელთან: მინდა (გინდა, უნდა) წიგნი (სურათი..), რაც გამოირიცხება მაშინ, როცა უნდა მოდალური ელემენტის ფუნქციითაა გამოყენებული გამოირიცხება შემოსენებული თრი წამასასათვებელი შიშან-თვეისებაც უნდა ზმნისა.

ა) მოდალური ელემენტი უნდა გამოიყენება კავშირებითის ყველა პირის ფორმასთან (ორსავე რიცხვში) უცვლელი ფორმით (არ გვხვდება მხოლოდ მყოფადის კავშირებითთან).

აშშკო:	უნდა	<table border="0"> <tr><td>ვაკეთებდე</td></tr> <tr><td>აკეთებდე</td></tr> <tr><td>აკეთებდეს</td></tr> </table>	ვაკეთებდე	აკეთებდე	აკეთებდეს
ვაკეთებდე					
აკეთებდე					
აკეთებდეს					
მყოფალი:	უნდა	<table border="0"> <tr><td>(გა)ვაკეთო</td></tr> <tr><td>(გა)ვაკეთო</td></tr> <tr><td>(გა)ვაკეთოს</td></tr> </table>	(გა)ვაკეთო	(გა)ვაკეთო	(გა)ვაკეთოს
(გა)ვაკეთო					
(გა)ვაკეთო					
(გა)ვაკეთოს					
ნაშკო:	უნდა	<table border="0"> <tr><td>გამეცეცებინა (გამეცეცებინოს)</td></tr> <tr><td>გაგვეცეცებინა (გაგვეცეცებინოს)</td></tr> <tr><td>გაეცეცებინა (გაეცეცებინოს)...</td></tr> </table>	გამეცეცებინა (გამეცეცებინოს)	გაგვეცეცებინა (გაგვეცეცებინოს)	გაეცეცებინა (გაეცეცებინოს)...
გამეცეცებინა (გამეცეცებინოს)					
გაგვეცეცებინა (გაგვეცეცებინოს)					
გაეცეცებინა (გაეცეცებინოს)...					

ბ) უნდა მოდალური ელემენტი გამორიცხავს უნდა ვაკეთებდე ინ უნდა გავაკეთო ტიპის სტრუქტურობთა გაგების პიპორექსურ (რთულ ქვეწყობილ) კონსტრუქციებად (უნდა, რომ ვაკეთებდე ან უნდა, რომ გავაკეთო ნიშნავს, რომ „მას სურვილი იქვე ვაკეთებდე || გავაკეთო“, და ორი ვალდებულებას, რისი გამოხატვაც აღისრია მოდალურ ელემენტს უნდა).

გ) ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში არ გათიჩევა თხრობით და კავშირებითი კილო. საქმე ის არის, რომ უნდა მოდალური ელემენტით გამოიხატება სპეციფიკური — ვალდებულების (დებიტურის) მნიშვნელობა, რომელიც კავშირებითი კილოს ერთ-ერთ სემანტიკურ ნირსახეობად უნდა განისაზღვროს (შრა.: კარგი იქნება, გავაკეთოს — გააკეთოს! — უნდა გააკეთოს!).

შევნიშნავთ, რომ ორსავე შემთხვევაში (მაშინაც, როცა უნდა წარმოდგენილია ზმნის ფუნქციით, და იმ შემთხვევაშიც, როცა უნდა მოდალური ელემენტია) დასაშეებია უნდა ფორმისა და ზმნის გათიშვა ზმნისართებით: ზინდა (ვინდა/უნდა) სწრაფიდ (კარგად, დღეს, ხელ...) გვაკეთო (გააკეთო/გააკეთოს), შრა.: უნდა სწრაფიდ (კარგად, დღეს, ხელ...) გვაკეთო (გააკეთო/გააკეთოს).

მოდალურ ელემენტად გამოყენებისას უნდა წესაძლოა ფორმობრივადაც იცვალოს — ფონეტიკური ცვეთის შედევგად. სერო ვითარებაა, მაგალითად, აჭარულსა და მესხურში, სადაც უნდა||უნდა→ნდა||და||ნა (ზმნის დაერთვის წინდებულად ან უკუდებულად): იქ-ნდა || იქ-ნა მივდეს „იქ უნდა მივიდეს“, დასწეროს-ნა „უნდა დაწეროს“ (აჭარული), ნა-გავაკეთო||გავაკეთო-ნა „უნდა გავაკეთო“, გააკეთოს-და „უნდა გააკეთოს“ (მესხური). საკუთრივ ზმნის ფუნქციით გამოყენებული უნდა კი ორმატოს განიცდის ამგვარ ფონეტიკურ ცვლილებებს. ეს კიდევ ერთი ნიმუშია იმისა, თუ რა ზეგავლენას აჩდენს ფუნქციური მხარე ფორმობრივზე.

\* \* \*

უნდა ზმის II პირის ფორმა სხვადასხვა მოდიფიცირით დამოუკიდებლივ (განდა||განდ||გინ) ან თუ ნაწილაკთან შერწყმულად (თუ-გინდა||თუგინდ) ასევე გამოიყენება მოდალური დანიშნულებით (სინტენსურად კავშირებს წარმოადგენებ), მაცე ფუნქციოთ გახვდება აგრეთვე თუ ნაწილაკთან შერწყმული III პირის ფორმა (თუ უნდა→თუნდა||თუნდ):

განდ რეგენისათვის გისწავლებაა, განდ შევდრისთვის გიწამლებიან (ანდაბა); თუნდა ამიდა, მშეო, და თუნდ ნუ ამოხვალ მბრწყინვა (ვაჟა).

ანალიგიური ვითარება ძველ ქართულშიცევ დაჩნდება, როგორ გამოიყენებოდა II პირის ფორმა გინა: „მოიწის ჭირი გინა დევნელებად სიტყვასა მისთვის“ (მრ. 4, 17), თუმცა აქ იგი ანუ კავშირის როლს ასრულებს; შდრ.: პარალელურა ტექსტი: „შეემოხუის ჭირი ანუ დევნელებად სიტყვასა მისთვის“.

შემოხსენებული მნიშვნელობების მქონე გინა ამჟამად გვხვდება ზოგ დიალექტსა თუ კილოკავში (ქიზიურში...).

\* \* \*

ნაზმნარი ფორმების გამოყენება მოდალური ელემენტების და-ცინულებით ქართულში არცთუ ისე იშვიათი მოვლენა ჩანს.

ნაზმნარ ფორმებად მიიჩნევა, მაგალითად, თითქმის ( $\leftarrow$ \*თუ ითქმის) და თითქოს ( $\leftarrow$ \*თუ ითქვას) <sup>15</sup>. შესაძლოა, ზმნური წარმომავლობისა იყოს ვანძლო ელემენტიც (\*ვინ-({შე)-იძლო→ვანძლო}; სხვა ვარაუდით: \*ვინ-დი რო(მ)→ვინძლო) <sup>16</sup>. ზმნური შესიტყვებისგანაა მიღებული ვარაუდის გამოხსატეველი მოდალური ელემენტი ვინიცობაა ( $\leftarrow$ ვინიცობა არის $\leftarrow$ ვინიცობა $\leftarrow$ ვინ-იცის)-ობა $\leftarrow$ ვინ იცის): „ვინიცობა, ეჭვი იღონ, ასე უთხარი“... ვარაუდის მოდალობას გამოხატევენ აგრეთვე ჩანს და ეტყობა ფორმები: „ჩანს, ბარშიაც თოვლი მოსულა“ (ტიტორიად შეხამებულია როგორც ფორმებთან: როგორც ჩანს); „ეტყობა, სტუმრა იქაურობა მოეწონა“ <sup>17</sup>.

მოდალური მნიშვნელობები შეუძენით მოდი და ადგა ზმნურ ფორმებსაც. პირეული წიქეზების დანიშნულებით გამოიყენება (ამოდი, ვნახოთ ვენახი), მეორე ექსპრესიულობას მატებს ფრაზას („ადგა მე-შისქვილემი და ზაჟვიმა ერთი ქათმი, — ნიმუში მთიულურიანია“).

<sup>15</sup> ა. შანიძე, დახს. ნაშრ., გვ. 614.

<sup>16</sup> იქვა.

<sup>17</sup> ქაბლ., ტ. III, 1953; ტ. VIII, 1964.

\* \* \*

ნაზმნარ ფორმითა გამოყენებას მოდალური დანიშნულებით უწინარეს ყოვლისა თვით ამოსავალი ზმნის სემანტიკა უწყობს ხელს: უნდა „სურა“→უნდა „სჭირდება“→უნდა „საჭიროა, უცილებელია“; თუ ითქმის (გამოიხატება ვარაუდი)→თითქმის (გამოიხატება მიახლოებითობის სემანტიკა) და მისთ.

თვით მდგვარი სემანტიკური გადახრის შესაძლებლობა კი ენის იმანენტური დინამიზმის უშუალო შედეგია.